მარიამ გეწაძე

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა

ტექნოლოგიებისა და ხელოვნების გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი ვარშავაში, პოლონეთი

,,Erasmus+ პროგრამის საშუალებით, ვარშავაში გატარებული 2025 წლის გაზაფხულის სემესტრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი აღმოჩნდა ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ მაჩვენა, თუ რამდენად ფართო და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს არქიტექტურული აზროვნება, როდესაც ის სხვადასხვა კულტურის, პერსპექტივისა და ხედვის გადაკვეთაში იძენს ახალ მნიშვნელობას.

სწავლა თანამედროვე, კრეატიულ და მრავალკულტურულ გარემოში გახდა სტიმული, რომ ყოველდღიურად მეპოვნა ახალი შთაგონება, როგორც პროფესიულ, ისე ადამიანურ დონეზე. ლექტორები, რომლებთანაც ურთიერთობა მქონდა, იყვნენ არა მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალები, არამედ გახსნილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული ადამიანები, რაც სწავლის პროცესს კიდევ უფრო ღრმას და დინამიკურს ხდიდა. პრაქტიკული გამოცდილება დამეხმარა განმევითარებინა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის უნარი და შემოქმედებითი მიდგომა პრობლემებისადმი.

ვარშავაში ცხოვრება იყო თავგადასავალი. ქალაქი, სადაც წარსული და თანამედროვეობა თანაბრად ცოცხლობს. საწყის ეტაპზე დამოუკიდებლად ცხოვრება უცხო კულტურულ გარემოში სირთულეს წარმოადგენდა, თუმცა მალევე გადაიქცა გამოცდილებად, რომელმაც დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა შემმატა.

რაც ყველაზე ფასეულია, ამ გამოცდილებამ მაჩუქა ადამიანები, მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათთან გატარებულმა უბრალო მომენტებმა, გულწრფელმა საუბრებმა, საერთო სირთულეებმა და წარმატებამ შექმნა მოგონება, რომელიც ჩემთან სამუდამოდ დარჩება.

დღეს შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ „Erasmus+ პროგრამის ფარგლებში გატარებულმა სემესტრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემი პროფესიული კომპეტენციის განვითარებაში. ეს იყო დრო, რომელმაც მაჩვენა, ვინ ვარ, რა შემიძლია და რა გზით მსურს ჩემი მომავლის წარმართვა.’’